პროფესიული განათლების ეროვნული ჯილდო 2024

მოთხოვნა განაცხადის წარდგენაზე (RFP)

15 მაისი 2024

სარჩევი

1 კონკურსის მიზანი 4

2 ორგანიზატორის შესახებ 4

3 კატეგორია I - წლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა 5

3.1 ვის შეუძლია მონაწილეობა მიიღოს აღნიშნულ კატეგორიაში? 5

3.2 რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს კანდიდატი საგანმანათლებლო დაწესებულება აღნიშნულ კატეგორიაში? 5

3.3 განაცხადი, შერჩევა და დაჯილდოების პროცესი 5

4 კატეგორია II - წლის პროფესიული განათლების ბიზნეს პარტნიორი 7

4.1 ვის შეუძლია მონაწილეობა მიიღოს აღნიშნულ კატეგორიაში? 7

4.2 რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს კანდიდატი აღნიშნულ კატეგორიაში? 7

4.3 განაცხადი, შერჩევა და დაჯილდოების პროცესი 8

5 კატეგორია III - წლის პროფესიული განათლების მასწავლებელი 9

5.1 ვის შეუძლია მონაწილეობა მიიღოს აღნიშნულ კატეგორიაში? 9

5.2 რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს კანდიდატი აღნიშნულ კატეგორიაში? 9

5.3 განაცხადი, შერჩევა და დაჯილდოების პროცესი 10

6 კატეგორია IV - წლის პროფესიული განათლების სტუდენტი 11

6.1 ვის შეუძლია აღნიშნულ კატეგორიაში მონაწილეობა ? 11

6.2 რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს კანდიდატი აღნიშნულ კატეგორიაში? 11

6.3 განაცხადი, შერჩევა და დაჯილდოების პროცესი 12

7 სპეციალური პრიზები და ჯილდოები 13

7.1 საქართველოს პარლამენტის სპეციალური ჯილდო - ინკლუზიური პროფესიული განათლების ხელშეწყობა 13

7.1.1 ვის შეუძლია მონაწილეობა მიიღოს აღნიშნულ კატეგორიაში? 13

7.1.2 რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს კანდიდატი საგანმანათლებლო დაწესებულება აღნიშნულ კატეგორიაში? 13

7.1.3 განაცხადი, შერჩევა და დაჯილდოების პროცესი 13

7.2 პროფესიული უნარების სააგენტოს ჯილდო - დამსაქმებელთან/ბიზნესთან თანამშრომლობის საუკეთესო პრაქტიკა 15

1 კონკურსის მიზანი

ათასწლეულის ფონდი, აცხადებს პროფესიული განათლების ეროვნული ჯილდოს კონკურსს 2024 წლისთვის.

კონკურსის ფარგლებში გამოვლინდებიან გამარჯვებულები შემდეგ კატეგორიებში:

I. **წლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (აკრედიტირებული, ასევე მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამა)**
II. **წლის პროფესიული განათლების ბიზნეს პარტნიორი**
III. **წლის პროფესიული განათლების მასწავლებელი**
IV. **წლის პროფესიული განათლების სტუდენტი**
V. **საქართველოს პარლამენტის სპეციალური ჯილდო - ინკლუზიური პროფესიული განათლების ხელშეწყობა**
VI. **პროფესიული უნარების სააგენტო ჯილდო - დამსაქმებელთან/ბიზნესთან თანამშრომლობის საუკეთესო პრაქტიკა.**

პროფესიული განათლების ეროვნული ჯილდოს მიზანია პროფესიული განათლების პოპულარიზება, პროფესიული განათლების იმიჯისა და რეპუტაციის ამაღლება. პროფესიული განათლების ეროვნული ჯილდო ხელს უწყობს დარგში წარმატებული ორგანიზაციებისა და საგანმანათლებლო პროგრამების წარმოჩენას და ჩართული პირების წარმატებული მაგალითების აღიარებით, ცდილობს პროფესიული განათლების ცნობადობის გაზრდას და რეპუტაციის ამაღლებას.

აღნიშნული მოთხოვნა განაცხადზე (RFP) აღწერს კონკურსის მიზნებს და იმ პირობებსა და მოთხოვნებს, რაც განმცხადებლებმა უნდა დააკმაყოფილონ.

უფლებამოსილ ორგანიზაციებს შეუძლიათ, შეავსონ ონლაინ განაცხადის ფორმა, რომელიც მოცემულია ვებ-გვერდზე: www.millennium.org.ge.

განაცხადების წარმოდგენის ბოლო ვადაა **2024 წლის 24 ივნისი.**

2 ორგანიზატორის შესახებ

ათასწლეულის ფონდის მისიაა საქართველოში ადამიანური კაპიტალის, ინდუსტრიისა და კერძო სექტორის მოთხოვნების შესაბამისი სამუშაო ძალის განვითარების ხელშეწყობა.

ათასწლეულის ფონდი შეიქმნა საქართველოს მთავრობის მიერ 2019 წლის სექტემბერში, საქართველოს მთავრობასა და აშშ-ის ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციას (MCC) შორის გაფორმებული მეორე, 140 მილიონი აშშ დოლარის კომპაქტის მდგრადობის უზრუნველსაყოფად.

პროფესიული განათლების ეროვნული ჯილდოს კონკურსი 2017 წლიდან ხორციელდება. კონკურსის გენერალური სპონსორია გუდავაძე-პატარკაციშვილის ფონდი. კონკურსის პარტნიორები არიან საქართველოს პარლამენტი, პროფესიული უნარების სააგენტო და ისრაელის საელჩო საქართველოში. კონკურსის მხარდამჭერია საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტრო.

3 კატეგორია I - წლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

ამ კატეგორიაში დაჯილდოვდება:

ავტორიზებული საჯარო ან კერძო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების პროგრამა და/ან პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამა, რომელიც საშუალებას აძლევს სტუდენტებს, მიიღონ მრავალმხრივი ცოდნა, პრაქტიკული გამოცდილება და დასაქმების კარგი შესაძლებლობა.

3.1 ვის შეუძლია მონაწილეობა მიიღოს აღნიშნულ კატეგორიაში?

კონკურსი ღიაა ყველა იმ იურიდიული პირისთვის, რომელიც კანონმდებლობით დადგენილი წესით ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამებს და/ან პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამებს და გასცემს სახელმწიფოს მიერ აღიარებულ დიპლომს და/ან სერტიფიკატს.

3.2 რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს კანდიდატი საგანმანათლებლო დაწესებულება აღნიშნულ კატეგორიაში?

აღნიშნულ კატეგორიაში გამარჯვებისთვის, კანდიდატს მოეთხოვება წარმოადგინოს და დაამტკიცოს, რომ ის საუკეთესოდ ახორციელებს **პროფესიული განათლების** მიწოდებას.

- უზრუნველყოფს პირისათვის იმ კომპეტენციის/ კომპეტენციების გამომუშავებას, რომელსაც მოითხოვს კონკრეტული პროფესია ან/და შრომის ბაზარი და მიმართულია პირის პროფესიული, სოციალური და პიროვნული განვითარებისაკენ;
- ხელს უწყობს მსმენელების სამუშაო უნარების, ტრანსფერული უნარების (soft skills), კომუნიკაციისა და სოციალური უნარების გაუმჯობესებას;
- უზრუნველყოფს სტუდენტების პრაქტიკულ სწავლებას და /ან იძლევა პროფესიული ცოდნისა და კომპეტენციების რეალურ სამუშაო გარემოში დაუფლების შესაძლებლობას;
- წარმოაჩენს პროფესიული განათლების პროგრამის კურსდამთავრებულების სწავლის შემდგომ პერსპექტივებს, მათ შორის, დასაქმების მაღალ მაჩვენებელს;
- გამოირჩევა ინოვაციური მახასიათებლებით, როგორც შინაარსობრივად, ასევე განხორციელების თვალსაზრისით;
- პროგრამა ხელს უწყობს სოციალურ და გენდერულ ინტეგრაციას; მის ფარგლებში დანერგილი პრაქტიკა ამცირებს გენდერულ სტერეოტიპებს და ზრდის პროფესიული განათლების შესაძლებლობებს მოწყვლადი ჯგუფების, შეზღუდული შესაძლებლობების და/ან სპეციალური საჭიროებების მქონე ადამიანებისთვის.

3.3 განაცხადი, შერჩევა და დაჯილდოების პროცესი

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა, კონკურსში მონაწილეობის მისაღებად უნდა შეავსონ

ონლაინ განაცხადის ფორმა, რომელიც მოცემულია ვებ-გვერდზე: www.millennium.org.ge

შესაბამისი მტკიცებულებები უნდა აიტვირთოს PDF ფორმატში, ონლაინ ფორმასთან ერთად.

განაცხადების შემოტანის ბოლო ვადაა **2024 წლის 24 ივნისი.**

ერთ განმცხადებელს შეუძლია, მის მიერ განხორციელებული რამდენიმე პროგრამა, წარმოადგინოს აღნიშნულ კატეგორიაში.

შემოსული განაცხადები შეფასდება დამოუკიდებელი ტექნიკური შეფასების ჟიურის მიერ, რომლის გადაწყვეტილება საბოლოოა.

თითოეული განაცხადი შეფასდება შემდეგი კრიტერიუმით:

შეფასების კრიტერიუმი	**მაქსიმალური ქულები**
რამდენად პასუხობს აღნიშნული კატეგორიის მიზნებს, პროგრამით მიღწეული შედეგის ხარისხი, და რამდენად შეიძლება წარმოდგენილი პროგრამა მივიჩნიოთ სამაგალითო პრაქტიკად (კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი და წარმოდგენილი მტკიცებულების საფუძველზე)	30
რამდენად ახორციელებს თანამედროვე შრომის ბაზრისა და პროფესიასთან დაკავშირებული მოთხოვნების შესრულებას და აჩვენებს დამსაქმებლ(ებ)ის ჩართულობის მაღალი ხარისხს, მათ შორის სასწავლო პროგრამების მომზადების და განხორცილების პროცესში	20
სოციალური და გენდერული ინტეგრაციის ხარისხი აღნიშნულ პროგრამაში და პროგრამის ხელმისაწვდომობა მოწყვლადი ჯგუფების და სხვა შეზღუდული შესაძლებლობების და/ან სპეციალური საჭიროებების მქონე ადამიანებისთვის	20
პროგრამაში თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების ხარისხი	20
წარმოდგენილი განაცხადის ხარისხი და წარმოდგენილი დოკუმენტაცი(ებ)ის სისრულე	10
სულ	100

4 კატეგორია II - წლის პროფესიული განათლების ბიზნეს პარტნიორი

ამ კატეგორიაში დაჯილდოვდება ბიზნესი, რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საქართველოში ადამიანური კაპიტალის განვითარების საქმეში, ქვეყნის პროფესიული განათლების სისტემის მხარდაჭერის გზით.

4.1 ვის შეუძლია მონაწილეობა მიიღოს აღნიშნულ კატეგორიაში?

კონკურსი ღიაა ყველა იმ საწარმოსთვის და/ან ბიზნეს ორგანიზაციისთვის, რომელიც სულ მცირე ერთი წელია თანამშრომლობს პროფესიული განათლების სფეროსთან საქართველოში.

4.2 რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს კანდიდატი აღნიშნულ კატეგორიაში?

აღნიშნულ კატეგორიაში გამარჯვებისთვის, კანდიდატს მოეთხოვება წარმოადგინოს და დაამტკიცოს ბიზნესის მხრიდან პროფესიული განათლების დაწესებულებებთან მჭიდრო პარტნიორობა და განხორციელებული ინვესტიცია, ასევე რამდენად ზრუნავს საკუთარი კადრების პროფესიული განვითარების პროგრამების და ტრენინგებით უზრუნველყოფაზე.

ეს შესაძლოა წარმოჩნდეს სხვადასხვა გზით, მაშ შორის:

პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებთან პარტნიორობის ხანგრძლივობა, ეფექტურობა და გავლენა:

- პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებში განხორციელებული ინვესტიციის მოცულობა, მაგალითად, პრაქტიკული ტრენინგისთვის საჭირო აღჭურვილობისა და მასალების უზრუნველყოფა და საგანმანათლებლო დაწესებულებების თანამშრომლების ტექნიკური ინფორმაციით მხარდაჭერა და კონსულტაცია.
- პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მხარდაჭერა შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი პროგრამების განვითარებასა და მიწოდებაში, ასევე სტუდენტებისთვის კარიერული განათლების და დაგეგმვის მიწოდებაში.
- პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მართვაში აქტიური მონაწილეობა, სამეთვალყურეო საბჭოში ჩართვით და კონსულტაციით.

ორგანიზაციის მხარდაჭერა სტუდენტებისთვის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მიწოდებაში:

- ინვესტირება სამუშაო ადგილების ადაპტირებაში, რათა უზრუნველყოს შესაბამისი და უსაფრთხო გარემო პროფესიული სწავლებისთვის და პრაქტიკული შეფასებისთვის.
- კომპანიის პერსონალის პროფესიულ განვითარებაში ინვესტირება, რათა მათ შეძლონ სტუდენტებისთვის ტრენინგის ჩატარება და მენტორობა, სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების პროცესში.

ორგანიზაციის ინვესტიცია საკუთარი დასაქმებულების შესაძლებლობების განვითარებაში:

- პროფესიული განვითარების და კვალიფიკაციის ამაღლების ტრენინგები, რომელიც გააუმჯობესებს სამუშაოს შესრულების ხარისხს და წაახალისებს დასაქმებულების მოტივაციას, ჩაერთონ უწყვეტ პროფესიონალურ განვითარებაში
- სამეწარმეო ტრენინგის რესურსებში ინვესტირება, რომელიც მოიცავს სპეციალურ ტრენინგ აღჭურვილობას დასაქმებულთა ტრენინგისა და პროფესიული განვითარებისთვის
- ადგილობრივ პროფესიული განათლების პროვაიდერებთან დაკავშირება კომპანიის დასაქმებულთათვის ტრენინგების უზრუნველყოფის მიზნით.

4.3 განაცხადი, შერჩევა და დაჯილდოების პროცესი

დაინტერესებულმა კომპანიებმა, კონკურსში მონაწილეობის მისაღებად უნდა შეავსონ ონლაინ განაცხადის ფორმა, რომელიც მოცემულია ვებ-გვერდზე: www.millennium.org.ge

შესაბამისი მტკიცებულებები PDF ფორმატში უნდა აიტვირთოს, ონლაინ ფორმასთან ერთად.

განაცხადების შემოტანის ბოლო ვადაა **2024 წლის 24 ივნისი.**

შემოსული განაცხადები შეფასდება დამოუკიდებელი ტექნიკური შეფასების ჟიურის მიერ, რომლის გადაწყვეტილება საბოლოოა.

თითოეული განაცხადი შეფასდება შემდეგი კრიტერიუმით:

შეფასების კრიტერიუმი	**მაქსიმალური ქულები**
რამდენად პასუხობს პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებასთან თანამშრომლობის სიძლიერე აღნიშნული კატეგორიის მიზნებს და რამდენად შეიძლება წარმოდგენილი პარტნიორობა სამაგალითო პრაქტიკად, მათ შორის ბიზნესის წვლილი პროფესიული განათლების იმიჯის გაუმჯობესებაში	30
კომპანიის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების უზრუნველყოფა პროფესიული განათლების სტუდენტებისთვის და კომპანიის წვლილი შრომის ბაზრის მიერ მოთხოვნად პროფესიული განათლების პროგრამების მიწოდებაში	30
კომპანიის მიერ გაწეული ინვესტიცია საკუთარი დასაქმებულების პროფესიულ განვითარებაში და თანამშრომლების უწყვეტი პროფესიული განვითარების ხელშეწყობა	30
წარმოდგენილი განაცხადის ხარისხი და წარმოდგენილი დოკუმენტაცი(ებ)ის სისრულე	10
სულ	100

5 კატეგორია III - წლის პროფესიული განათლების მასწავლებელი

ამ კატეგორიაში დაჯილდოვდება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების თანამშრომელი, რომელიც საუკეთესო შედეგებს წარმოადგენს.

5.1 ვის შეუძლია მონაწილეობა მიიღოს აღნიშნულ კატეგორიაში?

კონკურსი ღიაა პროფესიული განათლების ყველა პროფესიონალისთვის, რომლიც დასაქმებულია პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

კანდიდატის ნომინირება შეუძლიათ, როგორც პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს, სადაც წარმოდგენილი კანდიდატები მუშაობენ, ასევე თავად კანდიდატებს, დამოუკიდებლად. პროფესიული განათლების პროვაიდერებს შეუძლიათ წარმოადგინონ ერთზე მეტი კანდიდატი.

5.2 რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს კანდიდატი აღნიშნულ კატეგორიაში?

აღნიშნულ კატეგორიაში გამარჯვებისთვის, კანდიდატს მოეთხოვება, წარმოადგინოს და დაამტკიცოს სამუშაოს შესრულების მაღალი ხარისხი , რომ მისთვის შედეგი გახდეს მოტივატორი პროფესიონალიზმის ამაღლებისათვის.

ამის დემონსტრირება შესაძლებელია სხვადასხვა გზით, მათ შორის:

პროფესიული განათლების და/ან მასთან დაკავშირებული სერვისების მაღალი ხარისხით მიწოდება:

- კანდიდატის მიერ თანამედროვე სწავლების და შეფასების მეთოდოლოგიის/ ტექნიკის წარმატებული გამოყენება;
- სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების გამოყენება;
- სწავლების ინდივიდუალური მიდგომის ეფექტური გამოყენების მტკიცებულების წარმოდგენა;
- მაღალი ხარისხიანი შედეგების მტკიცებულების წარმოდგენა (სტუდენტის შედეგები / კმაყოფილება და ა.შ.).

კანდიდატის მოტივაცია აქტიურად ჩაერთოს თვითგანათლებასა და განვითარებაში:

- საკუთარ პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა;
- პროფესიული განვითარების ტრენინგსა და აქტივობებში აქტიური და ნებაყოფლობითი მონაწილეობა;
- პროფესიონალური კვალიფიკაციის პროგრესი.

კანდიდატის წვლილი პროფესიული განათლების მიწოდების გაუმჯობესებაში:

- ინოვაციური იდეების მიწოდება, რომელიც წვლილს შეიტანს პროგრამების ხარისხის და მიწოდების ეფექტურობის გაუმჯობესებაში;
- ცოდნის გაზიარება და კოლეგების მხარდაჭერა;

- თანაბარი შესაძლებლობების და გენდერული და სოციალური ინტეგრაციის წახალისება;
- საგანმანათლებლო დაწესებულების კომუნიკაციის აქტივობებში მონაწილეობა, მაგალითად ბიზნეს ჩართულობა, მარკეტინგი, სტუდენტთა მოზიდვა.

5.3 განაცხადი, შერჩევა და დაჯილდოების პროცესი

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა და პირებმა, კონკურსში მონაწილეობისთვის უნდა შეავსონ ონლაინ განაცხადის ფორმა, რომელიც მოცემულია ვებ-გვერდზე: www.millennium.org.ge

შესაბამისი მტკიცებულებები PDF ფორმატში უნდა აიტვირთოს, ონლაინ ფორმასთან ერთად.

განაცხადების შემოტანის ბოლო ვადაა **2024 წლის 24 ივნისი.**

შემოსული განაცხადები შეფასდება დამოუკიდებელი ტექნიკური შეფასების ჟიურის მიერ, რომლის გადაწყვეტილება საბოლოოა.

თითოეული განაცხადი შეფასდება შემდეგი კრიტერიუმით:

შეფასების კრიტერიუმი	**მაქსიმალური ქულები**
კანდიდატის სწავლების მიწოდების ხარისხი, მათ შორის მაღალხარისხიანი პედაგოგიური უნარების გამოვლინება	30
კანდიდატის თვითგანვითარების და პროფესიული განვითრების მოტივაცია	20
კანდიდატის წვლილი პროფესიული განათლების ხარისხის გაუმჯობესებაში, მათ შორის ხარისხის გაუმჯობესება, თანაბარი შესაძლებლობების წახალისება, ა.შ.	20
კანდიდატის მიერ თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების პრაქტიკა	20
წარმოდგენილი განაცხადის ხარისხი და წარმოდგენილი დოკუმენტაცი(ებ)ის სისრულე	10
სულ	100

6 კატეგორია IV - წლის პროფესიული განათლების სტუდენტი

ამ კატეგორიაში გამოვლინდება პროფესიული განათლების სტუდენტი, რომელიც წარმოადგენს საუკეთესო შედეგს, როგორც თეორიული ასევე პრაქტიკული სწავლების მიმართულებით.

6.1 ვის შეუძლია აღნიშნულ კატეგორიაში მონაწილეობა ?

კონკურსი ღიაა ყველა იმ სტუდენტისთვის, რომელიც ჩარიცხულია პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში და/ან პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამაზე.

კანდიდატის წარდგენა შეუძლიათ, როგორც პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს, სადაც წარმოდგენილი კანდიდატები არიან ჩარიცხულნი, ასევე პროფესიული განათლების სტუდენტებს, დამოუკიდებლად. პროფესიული განათლების პროვაიდერებს შეუძლიათ წარმოადგინონ ერთზე მეტი კანდიდატი.

6.2 რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს კანდიდატი აღნიშნულ კატეგორიაში?

აღნიშნულ კატეგორიაში გამარჯვებისთვის, კანდიდატს მოეთხოვება წარმოადგინოს და დაამტკიცოს სწავლების მაღალი შედეგები და ასევე, მოტივაცია, გახდეს საუკეთესო პროფესიონალი თავის სფეროში.

ეს შესაძლოა დემონსტრირდეს სხვადასხვა გზით, მათ შორის:

კანდიდატის მიერ პროფესიული უნარების და ცოდნის შეძენა და გამოყენება, კონკრეტულ სფეროში:

- თეორიული და პრაქტიკული გამოცდების და ტესტების შედეგები;
- სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების და/ან სხვადასხვა პრაქტიკის გავლის დროს, კანდიდატის მიერ შესრულებული სამუშაო შეფასების ანგარიშები;
- პროფესიული უნარების კონკურსებში მონაწილეობის მტკიცებულება.

კანდიდატის ინდივიდუალური უნარები და მისწრაფება თვითგანვითარებისკენ და დასაქმებისთვის საჭირო უნარების განვითარებისკენ, როგორიცაა ჯგუფური მუშაობა, კომუნიკაცია და პრობლემის გადაჭრის უნარები:

- კანდიდატის მონაწილეობა სხვადასხვა ჯგუფურ აქტივობებში, მათ შორის ცოდნის და გამოცდილების გაზიარება, ჯგუფური მუშაობა და თანამშრომლობა, ლიდერობის უნარების გამოვლენა;
- კანდიდატის მისწრაფება თვით-განვითარებისკენ, შეიძინოს ახალი ცოდნა და უნარები;
- პრობლემის გადაჭრის დროს, კანდიდატის მიერ ინოვაციური იდეების გამოყენება

კანდიდატის პოტენციალი - გახდეს სამაგალითო და შეძლოს სხვა პროფესიული განათლების სტუდენტების მოტივირება:

- კანდიდატის პიროვნული სოციალური პასუხისმგებლობა, რომელიც მოიცავს კანდიდატის

კონტრიბუციას საერთო წარმატების მიღწევაში;

- კანდიდატის მონაწილეობა დამატებით აქტივობებში, როგორიცაა ახალი სტუდენტების ორიენტაცია და/ან ცოდნის და გამოცდილების გაზიარება;
- კანდიდატის ლიდერობის უნარების დემონსტრირება საერთო აქტივობების განხორციელების დროს.

6.3 განაცხადი, შერჩევა და დაჯილდოების პროცესი

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა და პირებმა, კონკურსში მონაწილეობის მისაღებად უნდა შეავსონ ონლაინ განაცხადის ფორმა, რომელიც მოცემულია ვებ-გვერდზე: www.millennium.org.ge

შესაბამისი მტკიცებულებები PDF ფორმატში უნდა აიტვირთოს, ონლაინ ფორმასთან ერთად.

განაცხადების შემოტანის ბოლო ვადაა **2024 წლის 24 ივნისი.**

შემოსული განაცხადები შეფასდება დამოუკიდებელი ტექნიკური შეფასების ჟიურის მიერ, რომლის გადაწყვეტილება საბოლოოა.

თითოეული განაცხადი შეფასდება შემდეგი კრიტერიუმით:

შეფასების კრიტერიუმი	**მაქსიმალური ქულები**
კანდიდატის შესაძლებლობა ეფექტურად გამოიყენოს პროფესიული უნარები და ცოდნა, რომელიც მიიღო ავტორიზებულ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში	50
კანდიდატის კომუნიკაციის, გუნდური მუშაობის და პრობლემის გადაჭრის უნარები	20
კანდიდატის პოტენციალი გახდეს სამაგალითო სხვა სტუდენტებისთვის	20
წარმოდგენილი განაცხადის ხარისხი და წარმოდგენილი დოკუმენტაცი(ებ)ის სისრულე	10
სულ	100

7 სპეციალური პრიზები და ჯილდოები

7.1 საქართველოს პარლამენტის სპეციალური ჯილდო - ინკლუზიური პროფესიული განათლების ხელშეწყობა

საქართველოს პარლამენტის სპეციალური ჯილდო გადაეცემა პროფესიულ განათლებაში ინკლუზიური გარემოს ხელშემწყობ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ დაწესებულებას, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლის კოლაბორაციას ან პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომელიც უზრუნველყოფს პროფესიულ სწავლებაში ქალთა, ეროვნული უმცირესობებისა და სპეციალური საჭიროებების მქონე მოსწავლეთა ჩართულობას.

7.1.1 ვის შეუძლია მონაწილეობა მიიღოს აღნიშნულ კატეგორიაში?

კონკურსი ღიაა ყველა იმ საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის, რომელიც კანონმდებლობით დადგენილი წესით ახორციელებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს.

7.1.2 რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს კანდიდატი საგანმანათლებლო დაწესებულება აღნიშნულ კატეგორიაში?

აღნიშნულ კატეგორიაში გამარჯვებისთვის, კანდიდატს მოეთხოვება წარმოადგინოს და დაამტკიცოს, რომ ის ხელს უწყობს **ინკლუზიური პროფესიული განათლების** მიწოდებას.

- მოწყვლადი ჯგუფების ჩართულობისა და ინკლუზიური საგანმანათლებლო გარემოს უზრუნველყოფა;
- მოწყვლად ჯგუფებში პროფესიული განათლების შესახებ ცნობადობის გაზრდა;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეზღუდული შესაძლებლობებისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებისთვის ადაპტირება;
- საგანმანათლებლო დაწესებულების ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შეზღუდული შესაძლებლობებისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებისთვის ადაპტირება;
- პროფესიულ განათლებაში, განსაკუთრებით STEM-ის მიმართულებით, ქალთა ჩართულობის უზრუნველყოფა;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლების საჭიროებებზე მორგება.

7.1.3 განაცხადი, შერჩევა და დაჯილდოების პროცესი

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა, კონკურსში მონაწილეობის მისაღებად უნდა შეავსონ ონლაინ განაცხადის ფორმა, რომელიც მოცემულია ვებ-გვერდზე: www.millennium.org.ge

შესაბამისი მტკიცებულებები PDF ფორმატში უნდა აიტვირთოს, ონლაინ ფორმასთან ერთად.

განაცხადების შემოტანის ბოლო ვადაა **2024 წლის 24 ივნისი.**

შემოსული განაცხადები შეფასდება დამოუკიდებელი ტექნიკური შეფასების ჟიურის მიერ, რომლის გადაწყვეტილება საბოლოოა.

თითოეული განაცხადი შეფასდება შემდეგი კრიტერიუმით:

შეფასების კრიტერიუმი	**მაქსიმალური ქულები**
რამდენად ჩართული არიან მოწყვლადი ჯგუფები სწავლის პროცესში და როგორია საგანმანათლებლო პროგრამის ინკლუზიურობის მაჩვენებელი	30
რამდენად ხელმისაწვდომია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შეზღუდული შესაძლებლობებისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებისთვის, როგორც ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, ისე უშუალოდ პროგრამული ადაპტირების კუთხით	20
როგორ ხდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ცნობადობის გაზრდა მოწყვლად ჯგუფებში	20
რამდენად პასუხობს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლების საჭიროებებს	20
წარმოდგენილი განაცხადის ხარისხი და წარმოდგენილი დოკუმენტაცი(ებ)ის სისრულე	10
სულ	100

7.2 პროფესიული უნარების სააგენტოს ჯილდო - დამსაქმებელთან/ბიზნესთან თანამშრომლობის საუკეთესო პრაქტიკა

პროფესიული უნარების სააგენტო აწესებს სპეციალურ ჯილდოს დამსაქმებლებთან და ბიზნესთან თანამშრომლობის საუკეთესო პრაქტიკის გამოსავლენად.

კონკურსის დეტალები იხილეთ ცალკე დანართის სახით შემდეგ ბმულზე:
https://millennium.org.ge/geo/aplication_122&romeli=000

დეტალებისთვის, დაუკავშირდით პროფესიული უნარების სააგენტოს იმეილზე: info@geoskills.ge